კვირა, ივლისის 6 1919 წ. ფასი 1 მ. 50 კ. № 121.

წელიწადი ჯმესამე.

# ჩვენი ქვეყანა

**რედაქცია**

**საგაზეთო მასალა** უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში აღნიშნული უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი, დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს. ინახება მხოლოდ დიდი მოთხრობები.

**რედაქცია ღიაა:** დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

**კანტორა**

**გაზეთის ფასი:** ერთი თვით 30 მან. 3 თვით 75 მ. **განცხადების ფასი:** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. და 50 კ. უკანასკნელზე 1 მ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. **სამგლოვიარო განცხადება:** საშუალო ზომისა თითოჯერ არა უმეტეს სამი გამოცხადებისა 40 მ., 12 საათის შემდეგ 45 მან.

**კანტორა ღიაა:** დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

**მისამართი:** ქუთაისი, თფილისის ქ., ფიჩხაძის ს. ფოსტის ადრესი: ქუთაისი ფოსტის ყუთი № 80.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის ორგანო

## ხელის მომწერთა საყურადღებოთ

ვაცხადებთ როგორც ქუთაისის, ისე პროვინციის ხელის მომწერთა საყურადღებოთ, რომ ჩვენი გაზეთი 10 ივლისის შემდეგ აღარ მიუვათ იმ პირთ, რომელთაც გაზეთის დასაკვეთი ფული გადახდილი არა აქვთ. პროვინციის ხელის მომწერლებს შეუძლიათ ფული გამოგზავნონ გაზეთ „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციის სახელზე. ვისაც 10 ივლისს გაზეთის ფასი სრულიად გადახდილი არ ექნება, მას გაზეთის გზავნა შეუწყდება და ფულის ასაღებათ ზომები იქნება მიღებული.

რომან კონსტანტინეს ძე მკურნალი აუწყებს ნათესავთ ნაცნობთ და მეგობართ რომ 6 ივლისს, საფიჩხიის სასაფლაოს ეკლესიაზე დილის 10 საათზე გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი

კონსტანტინე თეოხარის ძე

მკურნალის

სულის მოსახსენებლად.

2—1

დამწუხრებულნი ანასტასია ივანეს ასული, ობლები შალიკო, ვერიჩკა და თამარა, და მელიტონ სიმონის ძე სტურუა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის უძვირფასესი მეუღლე, მეორენის დაუვიწყარი მამა და მესამესი საყვარელი ძმა

ბესარიონ სიმონის ძე სტურუასი

რომლის გამოსვენება მოხდება ქალ. სამტრედიაში საკუთარ ოჯახიდან მაცხოვრის ეკლესიაზე. დღით ორშაბათს 7 ივლისს დღის 2 საათზე.

1—1.

სამხატვრო სტუდია.

ქუთაისის სამხატვრო საზოგადოების საბჭომ მოაწყო სამხატვრო სტუდია: სტუდია მოთავსებულია რეალურ სასწავლებელში.

მუშაობა სწარმოებს: დილით 8—2 საღამოს 5—7.

სტუდიაში მუშაობის მსურველთ შეუძლიათ პირობების გასაგებათ მიმართონ გრიგოლ მესხს ან სერგო კაკაბაძეს რეალურ სასწავლებელში დილის 9—11 საათამდე.

ქუთ. სამხატვრო საზოგადოების საბჭო.

ქუთაისის სამაზრო ერობის გამგეობა ამით აცხადებს, რომ ქუთაისის ფარგლებში უკვე დაიწყო სათადარიგო მუშაობა ხონის ვიწრო ლიანდაგიანი რკინის გზის გასაყვანათ და ამის გამო კვირას 13 ივლისს დილის 11 საათზე ერობის ბინაზე დანიშნულია საჯარო ვაჭრობა შემდეგ სამუშევარზე:

1) მიწის მოთხრა . . . . . . . . 800 კუბიკ. საჟ.

2) ქვაფენილის აყრა ლიანდაგის გასაყვანათ და კვლავ შეკეთება . . . . . . 00 კვადრ. საჟ.

3) ქვის სამუშევარი . . . . . . . 12 კუბიკ. საჟ.

4) „ბალასტის“ გადაზიდვა . . . . . . . 100 კუბიკ. საჟ.

ყოველ გვარი ცნობისთვის საჭიროა მიმართონ გზის გამყვან ინჟინერს კარპოვს პეტრე-პავლეს ქუჩა, ჩიკვაიძის სახლი. განცხადება უნდა შემოტანილ იქნას ერობის სატეხნიკო განყოფილებაში.

ვაჭრობა საბოლოვოა

განცხადება უნდა შემოიტანონ დახურულ კონვერტში ნამდვილი მისამართის აღნიშვნით არა უგვიანეს ხუთშაბათისა 10 ივლისის.

4—1

ექიმი მ. ე. ნემსაძე

ღებულობს შინაგან და ვენერიულ სნეულებიან ავადმყოფთ. (609 და 914 შეშხაპუნება) ყოველ დღე დილის 9—12 და სად. 5—7-მდე. თბილისის ქუჩა. მხეიძის და ნაჭუმელაშვილის აფთიაქის თავზე.

ექიმი ზოკერიას

ქირურგიული და ქალთა სნეულების საავადმყოფოში სამშობიარო განყოფილებით ივლისის 6 რიცხვიდან (ახ. სტ.) მუშაობა განახლდა და ავადმყოფების მიღებაც სწარმოებს.

## ეკონომიური საფრთხე.

ჩვენს პოლიტიკურ მდგომარეობასთან მჭიდროთ არის დაკავშირებული ჩვენი ეკონომიური ვითარებაც. პოლიტიკური თავისუფლება ჩვენ მისთვის გვინდა და გვესაჭიროება, რომ ჩვენი ეკონომიური ცხოვრების ბატონ-პატრონი ჩვენვე ვიქნეთ, პოლიტიკურ დამოუკიდებლობას ის უპირატესობა აქვს, რომ ჩვენ ფასდაუდებელ სიმდიდრეს ჩვენ დავეპატრონებით და ჩვენვე ვაწარმოებთ: დღეს თუ ხვალ ჩვენ მოველით ჩვენი პოლიტიკური თავისუფლების დაკანონებას, დღეს თუ ხვალ ჩვენ ჩავებმით საერთაშორისო ფერხულში და საკუთარ სახელმწიფოებრივ ცხოვრებას დავიწყებთ. თუ ეს ბედნიერი წუთი დადგა, საქართველო საკუთარი ეკონომიური განვითარების გზას დაადგება და ეკონომიური ბრძოლა ექნება მას ყოველ ქვეყანასთან. ეკონომიური ბრძოლა აუცილებელია, ეს უნდა იქნეს, მხოლოდ საჭიროა მისი ნიჭიერი და გონიერი პოლიტიკით წარმოება.

ეკონომიურ პოლიტიკაში ჩვენი წარმატება იმაზე იქნება დამოკიდებული რამდენათ ოსტატურათ და გონიერათ დავაყენებთ ჩვენი ნაწარმოების მიწოდებას მსოფლიო ბაზარზე და მის ნაცვლად სხვისი ნაწარმოების შემოტანას. ჩვენი ნაწარმოების ხელსაყრელათ გადაცვლა სხვა ქვეყნის ნაწარმოებზე იქნება მთავარი მიზანი ჩვენი ეკონომიური პოლიტიკისა. თუ როგორ მოეწყობა ეს ნაწარმოებთა გაცვლა-გამოცვლა ჯერ არ ვიცით, მაგრამ ჩვენმა მთავრობამ უკვე გადადგა ნაბიჯი და ახლავე თავისი მონოპოლია გამოაცხადა უმთავრეს სავაჭრო საგნებზე; მთავრობა იტოვებს უფლებას (უპირატესობას) თავის ნებაზე მოახდინოს ჩვენი ქვეყნის უმთავრეს ნაწარმოებთა გადაცვლა უცხო ქვეყნების ნაწარმოებზე.

ეს გადაწყვეტილება ძლიერ მოსწონს გაზეთ „ბორბას“ და ამ ნაბიჯს აღტაცებით ეგებება, რადგან გაზეთი უკვე დღესასწაულობს სახელმწიფოს გამარჯვებას კერძო ვაჭრობასა და განსაკუთრებით სპეკულიაციაზე. გაზეთს ეს მიაჩნია სახელმწიფოს კეთილდღეობის თავდებათ.

მეტათ სასურველია, რომ გაზეთ „ბორბას“ იმედები ასრულებოდეს, მაგრამ სამწუხაროთ უნდა ვსთქვათ, რომ მთავრობის მონოპოლიას არასოდეს საქმე არ გაუკეთებია და ჩვენში ეს პირდაპირ დაამხობს ეკონომიურ პოლიტიკას.

ჩვენ გვრწამს, რომ მთავრობას დიდებული სურვილები აქვს, ვიცით, რომ მთავრობას სახელმწიფოს კეთილდღეობა ენატრება, გვჯერა, რომ მთავრობას სპეკულიაციის მოსპობა უნდა, უნდა და ძალიანაც ცდილობს, მაგრამ ამავე დროს უკვე დავრწმუნდით, რომ მთავრობა თავის მიზანს ვერ აღწევს. მთავრობის გულწრფელობა, მისი კეთილი განზრახვები რჩება გვერდზე და ქვეყანა ეკონომიურ განსაცდელშია. აი ასეთი მთავრობის ხელში მონოპოლია ვაჭრობა მრეწველობას კი არ ააყვავებს, სავსებით ჩაკლავს და ჩააქრობს.

ზოგიერთ პირობებში და განსაკუთრებულ შემთხვევებში შესაძლებელია მივილოთ მთავრობის მონოპოლია და ამით შეიძლება სახელმწიფომ დროებით კიდეც ისარგებლოს, მაგრამ დღეს ჩვენი მთავრობისგან ამგვარი ნაბიჯის გადადგმა დიდ საფრთხეში ჩაგვაგდებს

ჩვენი მთავრობის პროგრამა უკვე ცხადია და მისი მწარე გამოცდილება თვალწინ გვაქვს. ჩვენი მთავრობა ცდილობს სოციალისტური რწმენით ბურჟუაზიული წესი აწარმოოს. ეკონომიური საქმის მოგვარებას სოლორაშვილსა და მის მსგავს პირებს ანდობს, მეურნეობისა და ვაჭრობა მრეწველობის აღორძინებას ხომერიკის ძალღონით იმედობს. მართალია მთავრობა გამოუდეგარ პირებს თანდათან უცვლის ადგილს, მაგრამ ამით საქმე არ სწორდება, რადგან საქმის მეთაურთ გვარები ეცვლებათ, თორემ შინაარსით ბოლოს ბოლოს ერთი და იგივე ღირსების გამოდიან! უკვე საკმაო დრო გავიდა, მორიგეობით თითქმის ყველა გამოტყდა, მაგრამ არ იქნა და საქმე ოსტატს არ ჩაუვარდა ხელში; ცოდნას და გამოცდილებას არ მიექცა ყურადღება, მთავრობის ძალაუფლება მაინც ამხანაგური წესით გადადაგდმოდის და პარტიულ ხაზს მაინც არ ასცილდა. ამ პრინციპით მიწვეული პირების ხელში მონოპოლია დიდი საფრთხე იქნება.

ვაჭრობა მრეწველობაში მეტოქეობა აუცილებელი მოვლენაა. მონოპოლიით მოსპობილი მეტოქეობა სწორი გზა არ არის. მთავრობა **უფლებით** კი არ უნდა იკუთნებდეს უპირატესობას, **ღირსებითა და ცოდნით**,—უნდა იპყრობდეს მას. მთავრობას მხოლოდ მაშინ შეუძლია სძლიოს კერძო ინციატივას და აქციონურ საზოგადოებას, როცა მას **საიმედო ხაზინა** ხელში აქვს და შემადგენლობაში სახელმწიფოში **საუკეთესო პირები** ჰყავს. თუ მთავრობა ასეთია—მაშინ მონოპოლიაც აღარ არის საჭირო—მთავრობას დამსახურებული ექნება უპირატესობა. ასეთი მთავრობა ჩვენ არა გვყავს და მონოპოლიაც მიტომ დასჭირდათ. მთავრობა მოაწყობს მონოპოლიას, მაგრამ მონოპოლია მთავრობას ვერ შეინახავს.

მთავრობა დაბალი ღირსების იქნება სანამ ის პარტიულია...

**ტრიფონ ჯაფარიძე.**

## გერმანული პრესის ცნობები.

საქ. დეპ. სააგენტო.

მთელი ბერლინის ყველა რკინის გზებზე და აგრეთვე მოძრაობის სხვა საშუალებათა გაფიცვა დაიწყო. ორშაბათს დილით მოხდა დიდი მიტინგი, რომელზედაც გადასწყვიტეს გაფიცვის გამოცხადება, მ-ორე დღეს დილით გაფიცვა დაიწყო. საელექტრონო დაწესებულებათა მუშები მონაწილეობას არ იღებენ გაფიცვაში.

გერმანიის ყოფილმა კანცლერმა ბეტმან-ჰოლვეგმა ივნისის 25 პრეზიდენტ კლემანსოს აუწყა, რომ კაიზერის მაგიერ ის მისცენ სასამართლოში, რისთვისაც უკვე მზათ არის. როგორც გერმანიის მაშინდელი კანცლერი მე ვარ პასუხისმგებელი ყველა მაშინდელი პოლიტიკურ ნაბიჯებისა, მხოლოდ მე, და სხვა არავინ, ვართ პასუხისმგებელი იმისა, რასაც დანაშაულათ გვითვლიან ჩვენ მოკავშირენი და შეთანხმების სახელმწიფოები.

პოლონელები განაგრძობენ გერმანელ მამაკაცების და ქალების დატყვევებას. ბრესტლიტოვსკში, კოველში და ნოვოგეორგიევში შექმნეს საკონცენტრაციო ბანაკები. გერმანიის მთავრობამ რადიოთი გააფრთხილა პოლონეთის ეროვნული საბჭო, რომ ის ასეთსავე ზომებს მიმართავს გერმანიაში მცხოვრებ პოლონელებისადმი, თუ პოლონ. ეროვნული ყრილობა 3 დღეში არ განმარტავს პოლონელების ასეთ საქციელს.

„ფორვერტს“-ში ვიქტორ შიფერი მოითხოვს, რომ ომის დაწყებაში გერმანიის პასუხისმგებლობის საკითხი სოციალისტურმა ინტერნაციონალმა გაარჩიოს. მოკავშირეებმა რომ არ გამოაქვეყნონ სხვა საბუთები, ინტერნაციონალის კომისია ისეც შესძლებს ამ საკითხის სწორედ გარჩევას ვენის და ბერლინის არქივებიდან ამოღებული, ბრიუსელსა და ნიშში აღმოჩენილ და რუსეთის საბჭოთა მთავრობის მიერ გამოქვეყნებული საბუთების მიხედვით.

გაფიცვები ქვეყნებურად გრძელდება. სხვადასხვა კავშირთა წარმომადგენლებს კვირას მთავრობასთან თათბირი ჰქონდათ. ნოსკეს პროკლამაციამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია რკინის გზის მუშათა და მოსამსახურეთა შორის. ნოსკემ განაცხადა, რომ ის არავის დასჯის, თუ მუშაობას ორშაბათს განაახლებენ. მაგრამ მოძრაობა დღემდე ვერ მოწესრიგებულა.

## ინგლისური პრესა

საქ. დეპ. სააგენტო.

გერმანიის ეროვნული ყრილობა არჩევს გადასახადებისა და ახალი კონსტიტუციის საკითხებს. გადასახადები ძალიან უნდა იქნეს გადიდებული, ხოლო ახალი სახელმწიფოებრივი წესწყობილების შესახებ სოციალისტების უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ ჯერ უნდა მოვიცადოთ, ვიდრე პოლიტიკურ და მრეწველობის მძიმე პირობებს გადავიტანდეთო. სხვებს კი სურთ, რომ ეხლავე შეიმუშაონ კონსტიტუცია და აირჩიონ ახალი მთავრობა.

ბერლინიდან იუწყებიან: თუმცა გე

ნია მძიმე ხანას გინიცდის, მაგრამ ბოლშევიზმი ვერ გაიმარჯვებს. გერმანიაში ვერც წითელი კომუნიზმი გაიმარჯვებს და ვერც ისეთი მდგომარეობა შეიქმნება, როგორიც ეხლა რუსეთშია. ამას წინად მომხდარი უწესოება მცხოვრებთა დამშევით აიხსნება.

## მთავრობაში.

მთავრობამ დაადგინა:

— ქუთაისისა და თბილისის სათავადაზნაურო ბანკების წესდების ზოგიერთ მუხლის შესახებ მოხსენება მოწონებულ იქმნას და დეკრეტის სახით დამფუძნებელ კრებას წარედგინოს.

— ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის სამინისტროს კრედიტის ნაშთიდან 57550 მანეთის გალების ნება მიეცეს თბილისის გადასახადთა ინსპექტორების კანცელარიისთვის ინვენტარის შესაძენად.

— შესდგეს საუწყებათაშორისო კომისია რკინის გზის პენსიონერთათვის პენსიის მომატების საკითხის გამოსარკვევად.

## ცნობები ევროპიდან.

**ქართული ტყვები.**

ბერლინში თავი მოიყარეს 2.000-მდე ქართველ ტყვეებმა. ბერლინში მყოფი ქართველნი ყოველ ზომას იღებდნენ, რომ ეს ტყვენი სამშობლოში გამოეგზავნათ. დიდ დაბრკოლებას ამ საქმეში უჩენდნენ მოკავშირენი, რომელნიც ამ ტყვეებს რუსეთში უპირებდნენ გაგზავნას. მათი აზრით, ისინი რუსის ჯარის კაცები არიან და მაშასადამე რუსეთში უნდა გაგზავნონ. დიდი ბრძოლის შემდეგ მოკავშირეთა წარმომადგენელნი დაითანხმეს რომ საქართველოში გაგზავნილ იყვნენ. ამ ტყვეებს ახლოხანში გამოამგზავრებენ. მიღებულია ყველა ზომა საამისოდ.

**ნეიტრალური სახელმწიფონი და საქართველო.**

საქართველოს განსაკუთრებული სიმპატიით ეპყრობიან ევროპის ნეიტრალური სახელმწიფონი. ისინი ჩვენს წარმომადგენლებს აღუთქვამენ ყოველგვარ დახმარებას საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობაში. პრესა დიდის თანაგრძნობით ეპყრობა საქართველოს. სოციალისტების წრეებში ბერნისა და ამსტერდამის რეზოლიუციის გავლენით მუშაობას აწარმოებენ დამოუკიდებლობის საცნობად.

**შეძენილი საქონელი და მანქანები.**

საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებს ჰამბურგში საქართველოსთვის დიდძალი საქონელი და მანქანები შეუძენიათ, განსაკუთრებით სამეურნეო იარაღი. მაგრამ არავითარი საშუალება არ არის ჰამბურგიდან გადმოტანილი იყოს ეს იარაღი. მუშაობა სწარმოებს, რომ როგორმე ეს საქონელი გამოიგზავნონ, მაგრამ ჯერ-ჯერობით საქმეს არა ეშველა რა. „ს. ს".

## ახალი ამბავი

**ქ უ თ ა ი ს ი.**

**ქურდი პედაგოგი.** ქურდობა და ავაზაკობა სისტემატიურ ხასიათს ღებულობს. ეს ერთი ხანია რაც დრო გამოშვებით ცარცვავენ შიმშონ იაკობიშვილის სხვაჭროს. წაღებულია სხვა და სხვა ნივთები ღირებული 100.000 მანეთამდის. ამ ქურდობას ჯეროვანი ყურადღება მიაქცია ადგილობრივმა ადმინისტრაციამ და ბოლოს კვალსაც მიაგნო. სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა რუსთა გიმნაზიის დირექტორი სოკოლოვი, ოსმან კოპალაძე, მ. ჩიკვაიძე არ იაკობიშვილი და ვილაც რიჟინაშვილი. გაჩხრეკისას მათ ნაპარავი საქონელი აღმოაჩნდათ. დაპატიმრებულნი საგუბერნიო ციხეში გაიგზავნენ. ჩვენ არ გვაკვირვებს უკანასკნელი ოოხის პროფესია, მაგრამ გვაოცებს რუსთა გიმნაზიის დირექტორმა სოკოლოვმა, რათ აირჩია თავის პროფესიათ ქურდობა..!

**თავდასხმა.** ზეკარის სამხედრო გზატკეცილების მეორე უბნის ოსტატი ლოლიძე ადმინისტრაციის ინსპექტორის თანაშემწეს ატყობინებს: გუშინ ღამით თავს დამესხა ყაჩაღები. მათ სროლით დროზე ვუპასუხე, რომელნიც გაიქცენ. საჭიროა იარაღი. ამასთანავე აცნობეთ ბაღდათის კომისარს, მიიღოს ზომები ავაზაკთა შესაპყრობლად.

**ს. გეგელაშვილის გამგზავრება.** თანახმად შინაგან საქმეთა მინისტრის მოწერილობისა ადმინისტრატიული ნაწილის ინსპექტორის თანაშემწე ს. გეგელაშვილი ტფილისს გაემგზავრა. მისი მოვალეობის ასრულება დაევალა განსაკუთრებულ მინდობილებათა მოხელეს ა. შენგელიას.

**სამსახურიდან განთავისუფლება.** ქუთ. საგუბერნიო ციხის უფროსი იაშვილი თანახმად მისი თხოვნისა სამსახურიდან ერთი თვით დათხოვნილ იქნა. ციხის უფროსის მოვალეობა დროებით დაეკისრა მის თანაშემწეს ასათიანს.

**სამხატვრო სტუდია.** ქუთაისის სამხატვრო საზოგადოების საბჭომ მოაწყო სამხატვრო სტუდია. სტუდია მოთავსებულია რეალური სასწავლებლის დარბაზში. მუშაობა სწარმოებს დილის 8—2. საათამდის და საღამოს 5—7 საათამდის.

**გაზეთის ფონდისათვის.** ბიქტორ კანდელაკმა გაზ. „ჩვენი ქვეყნის" ფონდის გასაძლიერებლათ შემოსწირა 50 მ. რედაქცია შემომწირველს მადლობას უძღვნის.

**თარხნიშვილის ასულთა კონცერტი.** ოთხშაბათს, 9 ივლისს, ქალაქის თეატრში გაიმართება თარხნიშვილის ასულთა კონცერტი.

**თვითმკვლელობა.** 3 ივლისს ძველი მოედნის ქუჩაზე თავი მოიკლა ნიკიფორე ივანეს ძე დევიძემ. მიზეზად სიღარიბეს ასახელებენ.

**გაზ. „საქართველოს დახურვა".** ინგლისელების განკარგულებით დაიხურა გაზეთი „საქართველო" გუბრში ბიჩის მიერ წარმოთქმული სიტყვის მოთავსებისათვის. გაზეთ საქართველოს ნაცვლად გამოვიდა „ახალი საქართველო".

**ქალაქის საბჭოს მორიგი სხდომა.** სამშაბათს 8 ივლისს საღამოს 8 საათზე დანიშნულია ქალაქის საბჭოს მორიგი სხდომა.

**ანტისანიტარული მდგომარეობა.** ძველი ლაგირის ქუჩაზე ქალაქიდან მოგროვებულ ნაგავს ჰყრიან, რასაც შეუძლია ათასგვარი ავათმყოფობის გავრცელება. საჭიროა ამ გარემოებას ქალაქის გამგეობამ ყურადღება მიაქციოს.

**ტიფიანი ავადმყოფები.** ვაცხადებთ ქალაქის გამგეობის საყურადღებოთ, რომ ზოგიერთ სახლებში იმყოფებიან ტიფით ავადმყოფნი, რასაც შეუძლია ფართე საზოგადოებაში გადასვლა. ასეთი ავადმყოფი იმყოფება ძველი პოლიციის ქუჩაზედაც. სამსონ ხემშიაშვილის სახლში.

**საღამო-სეირნობა.** დღეს ივლისს ქალაქის ბაღში ვაიმართება დიდი სახალხო სეირნობა, მუშათა პროფესიონალურ კავშირების სასარგებლოთ.

**მოსამსახურეების ჯამაგირების მომატება.** ქუთაისის მომხმარებელი საზოგადოების კოოპერატივი „კოოპერაციის" მოსამსახურეების ჯამაგირების მომატების შესახებ 1 ივლის ილია ბახტაძის თავმჯდომარეობით შესდგა „კოოპერაციის" გამგეობის სხდომა. გამგეობამ მოსამსახურეების ჯამაგირის მაქსიმუმათ მიიღო 1500 მანეთი მინიმუმათ 900 მანეთი.

**გენ. ბარათოვის გამო.** ზოგიერთ გაზეთებში ცნობა იყო მოთავსებული, რომ დენიკინის დელეგაციად მოდის ვილაც გენერალი ბარათოვი. გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ ის ბარათოვი, რომელიც დენიკინთან იმყოფება-ოსია და არავითარი კავშირი არა აქვს ტფილისში მყოფ ქართველ ძმებთან გენერალ და პოლკოვნიკ ა. ი. და დ. ბარათაშვილებთან.

**დააპატიმრეს.** ბაღდათის რაიონის კომისარმა ებრაელ ხიხიაშვილის და შაოიშვილის გაძარცვისათვის დააპატიმრა სოფ. დიმის მცხოვრებნი ლეუშა, გრიგოლ, შალვა და მეტია ჩხეიძეები.

## პარტიული ცხოვრება

**ქ. ფოთი**

თიბათვის 28 ეროვნულ დემოკრატიული პარტიის ბიუროში. წაკითხულ იქმნა ორი საჯარო ლექცია მოწაფე ალექსანდრე და ბიკტორ გაბესკირიების მიერ შემდეგ თემაზე: „ქართული ერის ტრაღედია მე XX საუკუნემდე. და „საქართველოს დღევანდელი სახე" ლექციას ხალხი საკმაოთ დაესწრო და ნასიამოვნები დაიშალა.

ლექციის დასაწყისში პარტიულ საზოგადოებას ა. გაბესქირიამ გააცნო მოქმედება ჩვენი პარტიისა და ხაზგასმით აღინიშნა დასავლეთ საქართველოსათვის აუცილებლობა და მნიშვნელობა გაზეთ „ჩვენი ქვეყნისა". რაზედაც პარტიის წევრებმა დაადგინეს: ჩვენი ორგანოს გაუწიოს ფინანსიური დახმარება შეძლებისდაგვარად. ამ საქმის მოგვარებისათვის შემადგენლობა კომიტეტისა იქონიებს განსაკუთრებულ მსჯელობას.

მდივანი: ალექსანდრე ჭყონია.

## სახალხო მასწავლებელთა კავშირის

**ქუთაისის განყოფილების წევრთა 18 19 ივნისის საზოგადო კრების ოქმებიდან ამონაწერი.**

კრება გახსნა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ლ. ნაცვლიშვილმა, კრების თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა პ. არაჩემია, მდივნათ ნ. ნადირაძის ასული. მეორე საკითხია: **ქუთაისის წყალბადმა უბნის მეორე სკოლის გამგის ვიორგი წივწივაძის საქმე.** მოხსენებას აკეთებს საამხანაგო სასამართლოს თავმჯდომარე ემ. ცაგარეიშვილი, შემდეგ კითხულობს სასამართლოს განაჩენს: „გ. წივწივაძეს ეჯებოდა ორი საქმე: 1, ბრალს სდებდა მოსწავლე ქალის დედა გაიანე ციციშვილისა მასში, რომ იგი ეპყრობოდა მის ქალს უპატიოსნოდ... 2) უჩიოდენ ამავე სკოლის მასწავლებლები, რომ მასთან სამსახური შეუძლებელია. პირველ საქმეში სასამართლომ გამოძიების შემდეგ წივწივაძე გაამართლა, მაგრამ სასამართლომ გამოსთქვამს გ. წივწივაძის შესახებ თავის უსიამოვნებას იმიტომ, რომ მასწავლებელმა წივწივაძემ თავისი უტაქტო მოქმედებით შექმნა ის განწყობილება, რომელიც აღნიშნულია უსწავლელი ქალის საჩივარში. მეორე საქმის შესახებ სასამართლომ გამოიტანა ისეთი განაჩენი: როგორც სჩანს მოწმეების დაკითხვიდან და ორივე მოპასუხე მხარეების ჩვენებიდან სასწავლებელში სწავლა ყოფილა დაყენებული არა ნორმალურად; ახალ გამგეს გ. წივწივაძეს, როგორც ეტყობა, მოუნდომებია სასწავლებელში სწავლის გაუმჯობესება, მაგრამ საშუალებანი ვერ უხმარია ისეთი, როგორიც შეშვენის პედაგოგსა და ხელმძღვანელს; პირიქით თავისი უტაქტობით, ამხ. მასწავლებლების პიროვნების დამცირებით, მათი ავტორიტეტის მოწაფეების თვალში დაცემით და უმსგავსო ჭორების გავრცელებით მას ხელი შეუშლია სკოლაში ნორმალური წესების აღდგენისათვის. სასამართლო ჰგმობს გ. წივწივაძის ზემოხსენებულ საქციელს; აგრეთვე მასწავლებელი ქალის შავგულიძის საქციელიც არ არის მოსაწონი, როდესაც ის გაწყრომია თავის მოწაფეებს, რათ მიიღეს მონაწილეობა გ. წივწივაძის მიერ მოწყობილ საბავშო დილაში.

საერთოდ სასამართლო აღიარებს, რომ წყალგაღმა უბნის მეორე სკოლაში შექმნილია ისეთი ატმოსფერა, რომელიც აღზრდის საქმეს მეტად ხელს უშლის და ვნებას აძლევს, ამიტომ ღებულობს რა სახეში სკოლის ინტერესებს, საჭიროდ სთვლის ამ სკოლის შემადგენლობის დაშორებას და ერთიმეორეს დაცილებას". მომხსენებელი ცაგარეიშვილი ბოლოს აკეთებს ასეთ დასკვნას: „თუმცა მასწავლებლებს ქეიშვილსა და შავგულიძის ასულს სასამართლო დამნაშავეთ არ სცნობს, მაგრამ რადგანაც წივწივაძეს თავისი შეუგუებელი ხასიათით აურევ-დაურევია საქმე სკოლაში და ასეთი ატმოსფერა შეუქმნია იმის გარშემო, ამიტომ სასამართლომ დანარჩენი ორი მასწავლებლის დატოვება იმ სკოლაში სცნო უხერხულად.*" სასამართლოს ასეთმა დადგენილებამ დიდი კამათი გამოიწვია კრებაზე, რადგანაც დამნაშავე და უდანაშაულონი ერთნაირად დაუსჯია სასამართლოს. ხმის უმეტესობით გადაწყდა გაიხსნას კამათი და შეტანილ იქნას განაჩენში შესწორება. გ. წივწივაძეს კრებაზე ახასიათებენ ისეთ პიროვნებათ, რომელსაც არსად ამხანაგთან შეგუება შეთანხმება არ შეუძლია, ასეთი საქციელი მას ბევრგან გამოუჩენია, რის გამო სასამართლოს მოეზრდა მისი საქმეების რჩევა, ამიტომ წინადადება შემოდის გადაყვანილ იქნეს ის ისეთ სკოლაში, სადაც მას ამხანაგი არ ეყოლება და ასეთ ადგილათ ასახელებენ ციხის სკოლას.

ხანგრძლივი კამათის შემდეგ შეტანილ იქნა სასამართლოს განაჩენში შემდეგი შესწორება: გ. წივწივაძე გადაყვანილ იქნას ამ სკოლიდან იძულებით და გაფრთხილებით და თუ კიდევ გამოიჩენს ამხანაგებთან შეუგუებელ ხასიათს, იმ შემთხვევაში სრულიად დათხოვნილი იქნას მასწავლებლის თანამდებობიდან; დანარჩენ ორ მასწავლებელს, ქეიშვილსა და შავგულიძის ასულს, თუმცა მათ კრება არ სთვლის დამნაშავეთ, მაგრამ რადგანაც მოითხოვს სკოლის ინტერესები, ეთხოვოს მათ, თავისი სურვილით დასტოვონ ეს სკოლა და გადავიდენ სხვაგან, როდესაც ამის შეძლება მიეცემათ". კრება უცხადებს, როგორც წივწივაძეს, ისე მასწავლებლებს დადგენილებას.

მეორე დღეს კრების გაგრძელებისას გამგეობის წევრს ნ. გოქაძეს შემოაქვს განცხადება: „გ. წივწივაძემ კრების გახსნამდი მას, გოქაძეს დაუმსახურებლად მიაყენა შეურაცხყოფა; უწოდა „სულელი, გამოჩერჩეტებული, თავსლაფდასხმული" და სხვა... გოქაძე მოითხოვს, ეხლავე კრებამ გაარჩიოს ეს საქმე. თავმჯდომარის შეკითხვაზე წივწივაძემ უარჰყო ამგვარი სიტყვებით მიმართვა გოქაძისადმი. თავმჯდომარე შეეკითხება კრებას: „როგორც აცხადებს ნ. გოქაძე, წივწივაძეს დაუმსახურებლად მისთვის მიუყენებია შეურაცხყოფა, სურს კრებას ეხლავე გაარჩიოს ეს საქმე, თუ არა?" ამ შეკითხვამ წივწივაძე ააღელვა, მივარდა თავმჯდომარესთან, გალანძღა ჯერ ის, შემდეგ სასამართლოს წევრები, გამგეობა და მთელი კრებამ დაადგინა მაშინვე გარჩეულიყო საქმე; შეეკითხენ მოწმეებს, რომლებმაც დაადასტურეს წივწივაძის მიერ გოქაძის უმიზეზოდ გალანძღვა. დაბოლოს კრებამ გამოიტანა ასეთი განაჩენი: „ყოველივე იმისგან, რაც წივწივაძემ დღეს და საზოგადოთ ჩაიდინა, სჩანს, რომ ის არის ავადმყოფი კაცი და არა ნორმალური ფსიხიკის ადამიანი და, როგორც ასეთს, მას არ შეუძლია სამსახური, ამიტომ ამა წლის პირველ ენკენისთვიდან სრულიად დათხოვნილ იქნას მასწავლებლის მოვალეობიდან, ამასთანავე ეთხოვოს მთავრობას, დაუნიშნოს მას პენსია, როგორც ავადმყოფ კაცს; სანამ მთავრობა ამას აასრულებდეს, ეთხოვოს მთავარ-გამგეობას აღმოუჩინოს მას შეძლებისადაგვარად ერთდროული დახმარება ფულით".

კრების თავმჯდომარე პ. არაჩემია.

მდივანი ნ. ნადირაძის ასული.

*) ახირებული განაჩენია. გამგეობა

## თარხნიშვილის ასულთა კონცერტის გამო.

დაჰკრა საათმა, როდესაც განთავისუფლებულ საქართველოში, თავისუფალმა ქართველმა თავისი მშობლიური ეროვნული ხმა მოისმინა. დადგა დრო, განთავისუფლდა მონობისაგან ხალხიცა და ხელოვნებაც და როდესაც ქართველების რუსეთის მონობაში დახჩულმა ნიჭმა გამოფხიზლება დაიწყო; დადუნებული [illegible] კამარა დები თარხნიშვილები [illegible] რთო.

ქართველმა [illegible] ტივი, გაახსენდა მას საუკუნის წინათ ბრწყინვალე საქართველო, მისმა აზრმა დაიწყო სწრაფი დენა და გაიტაცა იგი ძველს საქართველოს ისტორიაში.

ისმინა მან ერეკლე მეფის დროის სიმღერა, ჩაიხედა მან ქართველი გლეხის გულში, გაიგონა „ურმული" თვალ-წინ წარმოუდგა და დაიფასა თუ რას ნიშნავდა ის სისხლი და გმირობა, რომელსაც აქცევდენ საქართველოს გასანთავისუფლებისათვის.

აღტაცა ქართველი ხალხი საქართველოს დედა ქალაქ თბილისში დები თარხნიშვილების სიმღერამ და... დააფასა კიდევაც მან მომღერლები.

მომავალ კვირაში ქალაქ ქუთაისსაც ეწვევიან ეს ფრიად სახელოვანი ასულნი და დაატკბობენ ჩვენ სმენას ძველი ქართული მელოდიებით.

წკრიალა ხმა და მშობლიური ჰანგებით დასტკბება ქუთაისის საზოგადოებ. გზა ქართულ ხელოვნებას! გაუმარჯოს ქუთაისის სტუმრებს, ხალხის ეროვნულ მუსიკით მესაზრდოებლებს.

ლ. ყიფიანი.

## სახალხო მასწ. კურსების მომწყობ კომისიის საყურადღებოდ.

ქუთაისის სამაზრო ერობის გამგეობამ სახალხო მასწავლებელთათვის, კურსები მოაწყო სადაც მიეცათ საშუალება დასწრებოდენ მხოლოდ რამოდენიმე მასწავლებელი თუ არ ვცდები რიცხვით 100-მდე. რეგისტრაცია არ მოგვიხდენია და ისე კი დანამდვილებით ვიცი, რომ ეს მასწავლებლობა სულ მცირე რიცხვია საერთო მასწავლებლებისა 30 ივნისს დავესწარი მე და რამოდენიმე არა მოწვეული მასწავლებლები კურსების მოსასმენათ გიმნაზიის შენობაში, სადაც მოთავსებულია ეს კურსები, მაგრამ შესვლისათანავე არ გასულა ნახევარი საათი რომ ჩამოიარა ინსტრუქტორმა ბ. გელაზანიამ და შეგვეკითხა: „ვართ თუ არა ამ კურსებზე მოწვეული". ჩვენც მივეცით პასუხი. შემდეგ როდესაც ლექტორმა შეწყვიტა ლექცია, ერთმა მასწავლებელთაგანმა მიმართა შეკითხვით, თუ რა იყო მიზეზი ასეთი შეკითხვისა და მათ ეძლევათ თუ არა უფლება ისარგებლონ ამ კურსებით, როგორც არა მოწვეულმა. ბ. გელაზანიამ უპასუხა, რომ „მათ არა აქვთ ნება დართული დაესწრონ, როგორც არა მოწვეულნი".

ასეთმა პასუხმა მეტათ გაგვაკვირვა, მაგრამ იძულებული გავხდით დარბაზი დაგვეტოვებია.

ეხლა ვეკითხებით სახალხო კურსების მომწყობ კომისიას ასეთი შეუწყნარებელი გადაწყვეტილება კომისიის მიერ არის მიღებული, თუ თვით მოქალაქე გელაზანიას შეცდომაა, ვინაიდან ერთმა მასწავლებელთაგანმა დამარწმუნა, რომ ეს კომისიის მიერ არ არის მიღებული. ჩვენ ღრმად გვრწამს რომ კომისიას მიზნათ აქვს, საქართველოს რესპუბლიკას მისცეს ცოდნით აღჭურვილი მასწავლებლები არიან ისინი კურსებზე მოწვეული თუ არა ეგ სულ ერთია. და რა დააშავა იმ მასწავლებელმა, რომელმაც მთავრობის მიერ არ იქნენ მიწვეული სურვილი აქვთ მოისმინონ ლექციები უსასყიდლოდ.

ჩვენი თხოვნაა, რაც შეიძლება დაჩქარებით ეცნოს კურსები გარეთ დარჩენილ მასწავლებლებს, რომ მათ ეძლევათ თუ არა უფლება მოისმინონ ლექციები;

**კურსების გარეთ დარჩენილ მასწავლებელთა ჯგუფის მონდობილობით მასწავლებელი ქალი.**

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.